

გაბა ლომიძე (საქართველო)

ქართული ლიტერატურული რუკის ხელახალი ფორმირება. ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა

დიდი ხანია მსჯელობენ ანტისტალინურ პარადიგმაზე თუ იდეოლოგიის მანქანის მიერ ათასობით შემოქმედნი (და, ცხადია, არამხოლოდ) ადამიანის ბედისწერის შეცვლის თუ მათი სიცოცხლის ხელყოფის და სახელოვნებო პროცესების იძულებით სხვა მიმართულებით განვითარების შესახებ. სტალინური რეპრესიები ერთ-ერთი ყველაზე იდეოლოგიზებული და ისეთი საკითხია, რომელზეც საბჭოთა პერიოდში, იმპერიის არსებობის მანძილზე, არ საუბრობდნენ. აქედან გამომდინარე, ამ პრობლემის შესწავლის აუცილებლობა სულ უფრო აქტუალური ხდება იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ლიტერატურის სისტემური შესწავლა, ახალი კუთხით, საბჭოური კლიშეებისგან თავისუფალი ანალიზი არც ისე დიდი ხნის დანეჭებულია. ამის ნიმუშია თუნდაც ლიტერატურის ინსტიტუტში გამოსული რამდენიმე კრებული, რომელიც სხვადასხვა მიმართულების პანორამულ სურათს გვთავაზობს. თუმცა მაინც არასრული იქნება 1910-40-იანი წლების ლიტერატურული პროცესების გაანალიზება, სანამ ბოლომდე არ შეისწავლიან საარქივო მასალას და მასზე დაყრდნობით არ შეფასდება მთელი პერიოდი.

ასეთ შემთხვევაში, მოძიებული და გაანალიზებული უნდა იქნას მთელი საარქივო მასალა, რომელიც აქამდე უცნობი რჩებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი იმის გამორკვევა, თუ რამ გამოიწვია სტალინური რეპრესიები და საერთოდ, რა ფენომენია ის. თან, წელს საიუბილეო თარიღია – ამ რეპრესიებიდან 90 წელი შესრულდა. ამისთვის აუცილებელია არა მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები, არამედ რეპრესირებულთა სახელები – ისინი ვინც გადაასახლეს, დააპატიმრეს ან დახვრიტეს; შესწავლილ უნდა იქნას კონკრეტული ადამიანების მოღვაწეობა – მათი საქმიანობა, რევოლუციისადმი მიმართება, ბოლშევიკების წინააღმდეგ ამბოხებებში მონაწილეობა, სადამსჯელო საქმიანობებში ჩართულობა და ა.შ. (როგორც ცნობილია, 1991 წლის თბილისის ომის დროს, საარქივო მასალის საგულისხმო ნაწილი განადგურდა და საერთო ანალიზიდან, სამწუხაროდ, ეს მასალა გამოირიცხება).

სწორედ ამ სიცარიელის ამოვსებას ითვალისწინებდა ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მომზადებული კრებული „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა“, რომელიც ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს იმ პერიოდის, 1910-40-იანი წლების ლიტერატურის და კულტურული პროცესების შემსწავლელ მკვლევარებს. ამ სეგმენტის გაუთვალისწინებლად, ცხადია, ნებისმიერი ანალიზი მაინც ნაკლები იქნება. ეს საწყისი ეტაპია. გასულ წელს გამოცემული წიგნი „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა“ გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამ-

დე (1921-1941 წწ)“ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკულ პერიოდს ეძღვნება. მასში მკითხველი გაეცნობა 1937 წელს რეპრესირებული ქართველი მწერლების შესახებ ინფორმაციას, ბრალდების მოტივებს, ოქმებს და, ზოგადად, საარქივო მასალას.

წიგნის უმთავრესი სიახლე იმას გულისხმობს, რომ მასში წარმოდგენილია მეორე მსოფლიო ომამდელი მოვლენების შეფასება საარქივო მასალებზე დაყრდნობით, რაც წიგნს სრულიად განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს. აქვე უნდა ითქვას, რომ წიგნი რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მხარდაჭერით განხორციელდა. როგორც წიგნის რედაქტორები — ირმა რატიანი და მაკა ელბაქიძე წერენ შესავალში, წიგნი „წარმოდგენს ქართული ლიტერატურის ისტორიის ამ ერთ-ერთი ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი ეტაპის – გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდის – მეცნიერულ შეფასებას კონკრეტული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სტრატეგიის ფონზე, უცნობ და ნაკლებად ცნობილ საარქივო მასალებზე დაყრდნობით.“ წიგნში თავმოყრილია მწერლების შესახებ ინფორმაცია; შედარებით ნაკლებად ცნობილ შემოქმედებებზე უფრო ვრცელი მონაცემებია წარმოდგენილი. მაგალითად, „სომნამბულების“ ორდენის დამაარსებელ ვანლერ დაისელზე (იგივე ივანე ბაბუაძე), რომელიც ე.წ. სტალინურ რეპრესიებს ემსხვერპლა. თვითონ ორდენის სახელწოდება უკვე იმაზე მიუთითებს, რომ ავტორი საბჭოთა იდეოლოგიისთვის მიუღებელი მოდერნისტული ესთეტიკით ქმნიდა თავის ნაწარმოებებს, რაც სინამდვილიდან სიზმრების სამყაროში გაქცევას გულისხმობს. ამგვარი ესთეტიკა, იმდროინდელი ზოგადმოდერნისტული ტენდენციის პარალელურად, ერთგვარი მწერლის მხატვრული სტრატეგიაც იყო – ის, რასაც სრულიად სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორი ცენზურის მახვილი თვალისგან თავის დაღწევის მიზნით მიმართავდა – მითიური მუსიკოსი მარსიასით თუ ოვიდიუსით დაწყებული დღეს არაერთი დევნილი ავტორით დამთავრებული. როგორც წიგნშია აღნიშნული: „მიუხედავად იმისა, რომ „სომნამბულების“ წესდებაში ხაზგასმული იყო მათი აპოლიტიკურობა, ჩანს, რომ რეალობაში ისინი სრულებითაც არ იყვნენ გულგრილნი ეროვნული პრობლემის მიმართ და 1924 წლის აჯანყების დამარცხებას და ბოლშევიკურ დიქტატს მწვავედ განიცდიდნენ.“

ცხადია, ზოგადად, მოდერნისტული და ავანგარდისტული ტენდენციები იმთავითვე ანტისაბჭოური დისკურსის ნაწილი იყო და ამდენად, ამ ოპოზიციურ სტრატეგიაზე უკურეაქციამაც არ დააყოვნა, როდესაც 1937 წელს არაერთი ქართველი მწერალი და ხელოვანი „დახვრეტილი თაობის“ რიგებში აღმოჩნდა. ამის დასტურია ამავე წიგნის პირველ თავში წარმოდგენილი, ქართული ავანგარდის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ჟანგო ლოლობერიძის ისტორიაც. არადა, ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რამდენად განსხვავებული მიმართულებით განვითარდებოდა ქართული ლიტერატურა და ხელოვნება, 1921 წელს ქვეყნის გასაბჭოება რომ არ მომხდარიყო. ამის დასტურია ქართული მოდერნიზმის და ავანგარდის წარმომადგენელთა შემოქმედება.

ყველაფერი საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით და გასაბჭოებით დაიწყო. თბილისი, რომელიც ავანგარდის ერთ-ერთ ცენტრად ითვლებოდა, 1920-იანი წლებიდან შეიზღუდა. 1920-იანი წლების ბოლოდან ვითარება შეიცვალა. „ცისფერყანწლების“ დაჯგუფება დაიშალა და ყველამ ცალ-ცალკე გააგრძელა მოღვაწეობა. მაშინ დაწერა იოსებ გრიშაშვილმა სევდიანი განწყობის ლექსი „გამოთხოვება ძველ თბილისთან“:

ძველო თბილისო! ჩემი მიზნები
აღარ მაქვს, გულში რომ გინახავდი...
გადაწყდა, უნდა შევცვალო გზები...
ძველო თბილისო... გტოვებ... ნახვამდის...

ეს უკვე აღარ არის არტისტული კაფეების თბილისი, სადაც დილამდე შემოქმედებითი საღამოები იმართებოდა. თავისუფალი საქართველოს კულტურული ცხოვრება ოთხი წელი გაგრძელდა. ადამიანები, რომლებმაც ტფილისურ ავანგარდს ჩაუყარეს საფუძველი, 1930-იანი წლებისთვის გადასახლებებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში აღმოჩნდნენ. ბევრი მათგანი დახოცეს. ვინც მოახერხა, გრიგოლ რობაქიძის მსგავსად ემიგრაციაში წავიდა. პარიზში გადავიდა ლადო გუდიაშვილიც. იმ დროს მისი პერსონაჟები ჯერ კიდევ პირდაპირ იყურებოდნენ. მოგვიანებით კი, საბჭოთა საქართველოში დაბრუნებულმა, თვალვინაობის უყურო ადამიანების დახატვა დაიწყო. გადარჩენილთაგან ზოგმა, გალაკტიონის მსგავსად, დიოგენეს მსგავსად, ცინიკოსის ნიღბის მორგება ამჯობინა და მათთვის ცხოვრება თეატრად თუ ტრაგიკულ წარმოდგენად იქცა. ამ სტრატეგიის საშუალებით ისინი ხშირად გაბედულ ოპოზიციურ მოსაზრებებსაც აყალიბებდნენ. ზოგის შემოქმედება დაჩეხეს და დაამონტაჟეს და ცენზურის შედეგად სრულიად განსხვავებული შინაარსის მატარებელი ნაწარმოებები მივიღეთ. აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ კოტე მიქაბერიძის მიერ გადაღებული ფილმი „ჩემი ბებია“, რომელშიც მრავლადაა ფუტურისტული ესთეტიკის ელემენტები. რეჟისორმა თავის ამ ექსპერიმენტულ ფილმში საბჭოთა იმპერიაში ტოტალიტარული რეჟიმის გაბატონება იწინასწარმეტყველა. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ ფილმი „ჩემი ბებია“ აკრძალეს და კოტე მიქაბერიძეს ფილმების გადაღების უფლება ჩამოართვეს.

წიგნი „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა“, სტრუქტურული თვალსაზრისით, მოხერხებულადაა დაყოფილი შემდეგ თავებად: „ვინც შეენირა“, „ვინც განირეს“, „ვინც გადარჩა“, რომელშიც დახარისხებულია მწერლები ბიოგრაფიების მიხედვით. ასევე, წიგნს ერთვის თავები: „მწერალთა კავშირის ტრაგიკული ხუთწლელი“, „შიშის დინამიკა“, „ადამიანური ისტორიები“ და ბოლოს – დაკითხვის ოქმები.

ის, რაც 1932 წლიდან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებას მოყვა, პრაქტიკულად, რეპრესიების პრელუდიად შეგვიძლია მივიჩნიოთ. რეპრესიის მანქანამ თვითონ დაიწყო ავანგარდის ენით კომუნიკაცია, რაზეც ბორის გროისი თავის ნაშრომში

„სტალინიზმის ტოტალური ხელოვნება“ ფუტურიზმზე საუბრისას წერს, რომ ფუტურიზმისთვის დამახასიათებელი ახალი სამყაროს შენებისკენ სწრაფვა, თავისი მილიტარისტული დისკურსით, სულ მალე განხორციელდა. „ოღონდ ამ პროგრამის ავტორი როდჩენკო და მაიაკოვსკი კი არ ყოფილან, არამედ სტალინი, რომლის პოლიტიკურმა ძალაუფლებამ მათი სახელოვნებო პროექტის მემკვიდრედ აქცია“ (გროისი 2011: 34).

ამიერიდან იდეოლოგია ხელოვნებას თავისი იდეალის შესაბამის მიზნებს და ამოცანებს უსახავს. მაგრამ როგორც წიგნში „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა“ აღნიშნულია, ქართველი მწერლების ნაწილი თავდაპირველ ეტაპზე მაინც არ კარგავს იმედს, რომ ლიტერატურის პოლიტიზაციისგან თავის დაღწევა შესაძლებელია. ამიტომაც „1931 წელს ამგვარ ალტერნატივაზე საუბრობს ნიკოლო მინიშვილი წერილში „საბჭოთა მწერლობის ახალი ამოცანები“: „...პროლეტარული დიქტატურის მე-14 წელს ჩვენ უკვე გარკვეულად უნდა მოვითხოვოთ მწერლისგან წმინდა პოლიტიკური მომენტის გარდა მხატვრული კლასიფიკაციაც. რასაკვირველია, პროლეტარული კლასიური იდეოლოგიით სავსებით გამართული მხატვრული ტექსტის მოცემა მეტად ძნელია, მაგრამ ეს კიდეც არ ნიშნავს, რომ რადგან ძნელია, ამიტომ მხატვრული შემოქმედების ფაქტად გამოცხადდეს ყოველგვარი ნაწარმოები...“ ნიშანდობლივია მინიშვილის ამ წერილზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას მეორე მდივნის კარლო მელაძის გამოხმაურება: „რათ სჭირდება მინიშვილს საკითხის ასე დაყენება, როდესაც საკითხს არავინ ამგვარად არ აყენებს? მას ეს მისთვის სჭირდება, რომ გარკვევით სთქვას – პოლიტიკისა და ლიტერატურის შეთავსება დღეს შეუძლებელია.“

წიგნში თეორიულ ჭრილშია განხილული იდეოლოგიზებული ლიტერატურა და ნახსენებია, რომ ლენინმა „კულტურას სოციალურ ძალთა ხელში მყოფი ძლიერი ინსტრუმენტი უწოდა, „რომელიც ამა თუ იმ კლასის გაბატონებას ემსახურება“ (ნონა კუპრეიშვილის სტატია „პარტიული ლიტერატურა: თეორია და პრაქტიკა“). ხელოვნების, როგორც რეალობის ასახვის და იდეოლოგიური იარაღის შესახებ მარქსისტების შეხედულება საყოველთაოდ ცნობილია. ამ გაგებით, ზოგიერთი მარქსისტი იდეოლოგისთვის მისაღები იყო, ვთქვათ, ავანგარდისტების ექსპერიმენტები, სხვებისთვის კი იმთავითვე მიუღებლად ითვლებოდა ფორმალისტური ძიებები და ამ მოტივით ებრძოდნენ ფორმალისტებს თუ ავანგარდისტებს. იდეოლოგიის და ხელოვნების მიმართების თვალსაზრისით საინტერესოა ლეონ ტროცკის და რომან იაკობსონის პოლემიკა. როგორც ტროცკი ამბობდა, თანამედროვე ხელოვნების ახალი კომბინაციები რეალურ სინამდვილეში მიმდინარე პროცესების ასახვაა. ფუტურისტების ფორმალისტური ექსპერიმენტები, ცხადია, ორიგინალური და რევოლუციური იყო. იაკობსონი, ახალი ხელოვნების ტროცკისეული სოციოლოგიური მიზეზების ძებნისგან განსხვავებით, უფრო კულტურულ კონტექსტსა და ტრადიციაში – აინშტაინის ფარდობითობის თეორიასა და ფიოდოროვის კოსმიზმში ეძებს. ტროცკისთვის ახალ ხელოვნებას შინაარსიც რევოლუციური უნდა ქონდეს, იაკობსონისთვის

თანამედროვე ხელოვნების რევოლუციური ფორმაც კი საკმარისია. მაგრამ მეორე კატეგორია, რომელიც ფორმალურ ძიებებს და ავანგარდს უპირისპირდებოდა, თვითონვე ქმნიდა ახალი ხელოვნების ჩარჩოებს, რომელსაც, ცხადია, საერთო არ ჰქონდა სინამდვილესთან და ამ თვალსაზრისით, სიურრეალურ ან, უფრო ზუსტად, ჰიპერრეალურ ელფერს ატარებდა, ვინაიდან თვითონ ის სინამდვილე, რომელშიც იწერებოდა ესა თუ ის მხატვრული ტექსტი, უკვე თვითონაც არამყარ საფუძველზე აგებული მოვლენა იყო – მყიფე იდეალების მქონე ხელოვნური სახელმწიფო.

ამ პერიოდიდან დაიწყო პროლეტარული მწერლობის კრიტიკიუმების ჩამოყალიბება. როგორი უნდა ყოფილიყო პროლეტარული მწერლობა? ამ საკითხზე ბევრს კამათობდნენ. „პროლეტარულად უნდა მივიჩნიოთ ის ნაწარმოები, რომელსაც ახასიათებს: „ლაკონიურობა, სიცოცხლე-გარკვეულობა, სისადავე... ნაწერი, რომელსაც ერთ-ერთი ამათგანი აკლია, ის პროლეტარული არაა. პირველი იმით არის გამოწვეული, რომ მებრძოლ პროლეტარიატს სასტიკად აქვს დრო განაწილებული და ზედმეტი სიტყვებისთვის და განმარტებისთვის დრო აღარ რჩება და არც საჭიროთ მიმარჩნია...“ ზოია ცხადაიას ნაშრომში იკვეთება საბჭოური რიტორიკის მარკირებული ფორმულები: „სიფხიზლის მოდუნება“, „ხალხის მტრები“, „მავნებლური მუშაობა“. ამის შედეგი იყო მთელი რიგი ნაწარმოებების დაჩეხვა-გადაკეთება.

მაკა ჯოხაძის ნაშრომი შიშის დინამიკას ინტერიერის და ექსტერიერის, უკვე უშუალოდ საარქივო მასალების საშუალებით იკვლევს. ნიგნს ბოლოში ერთვის დაკითხვების ოქმები, სადაც სხვათა შორის, მკითხველს შეუძლია გაეცნოს მიხეილ ჯავახიშვილის დაკითხვის ოქმებს. ბოლოს, წარმოდგენილია უნიკალური დოკუმენტები – ტიციან ტაბიძის დახვრეტის ოქმი, მიხეილ ჯავახიშვილის განცხადება, ლევან გოთუას საბრალდებო დასკვნა, ლევან რაზიკაშვილის წერილი, პეტრე ოცხელის დახვრეტის ოქმი თუ სხვა.

ნიგნის ავტორები შესანიშნავად ახერხებენ, ერთი მხრივ, იმდროინდელი კონტექსტის პანორამულ ჩვენებას, მეორე მხრივ – თითოეული ავტორის – და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მათ შორის ნაკლებად ცნობილი მწერლების წინა პლანზე წამოწევა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ნაშრომი აუცილებელი ეტაპია, რასაც, ალბათ, შემდგომი პერიოდის მწერლობის კონტექტის და ცალკეული მწერლის ხვედრის ანალიზი მოყვება. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი, რომ ეპოქის სრული სურათი აღდგეს და მოდერნიზმი უფრო ფართო კონტექსტში დავინახოთ. გამორიცხული არ არის, რომ აქ წარმოდგენილი ავტორების (ისევე, როგორც ემიგრაციაში გადახვენილი ავტორების) შემოქმედების სათანადო შესწავლის შემდეგ, იმდროინდელი ქართული ლიტერატურის – მოდერნიზმის და ავანგარდის პანორამული ანალიზი მოხერხდეს. ქართული ლიტერატურული რუკა მხოლოდ ასე შეიძლება გახდეს სრულყოფილი.

გამორიცხული არაა, რომ დღეისთვის ნაკლებად ცნობილი ან მარგინალიზებული მწერლები ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილის თვალსაზრისით, წინა პლანზეც გამოვიდნენ. ამას, ცხადია, სათანადო შესწავლა ჭირდება, რაც უკვე კვლევის შემდგომი ეტაპია.

ამავე დროს, საგულისხმო შედეგები შეიძლება აჩვენოს ცენზურის ანალიზმა – თუ რა ტიპის რიტორიკა იწვევდა მათ შემფოთებას და როგორ იცვლებოდა ერთი ტექსტი მეორეთი; ისევე როგორც საგულისხმო შეიძლება აღმოჩნდეს რეპრესირებული ავტორის პოზიციიდან დანახული ეპოქა – როგორც საერთო სურათის, ისე სტალინური რეპრესიების, როგორც ბედისწერის განმსაზღვრელი უხილავი „მამისეული წესრიგის“ (ლაკანი) თვალსაზრისით, სტალინის იდეოლოგიის და მითოლოგიის შესასწავლად.

შემდგომში საგულისხმო სურათს მოგვცემდა რეპრესირებული ლიტერატურის თვალსაზრისით სხვა საბჭოთა რესპუბლიკების თუ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ვითარების ანალიზიც. მათი და ჩვენი მდგომარეობის შედარებითი ანალიზი ნათელს მოფენს ბევრ საგულისხმო საკითხს. მაგალითად, რა მიმართება და რა ტიპის პრობლემები იყო ამა თუ იმ რესპუბლიკასა თუ ქვეყანაში და რა საერთო ჰქონდათ მათ, ამ თვალსაზრისით. ამ და ბევრი სხვა საკითხის ანალიზისთვის აღნიშნული ნაშრომი უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია და შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ამ საკითხების გაანალიზების შემდეგ გზა ეხსნება იმ პერიოდის ლიტერატურის და, ზოგადად, კულტურის უფრო ფართო, მასშტაბურ ანალიზს.

Gaga Lomidze
(Georgia)

Remapping of Georgian Literature. Bolshevism and the Georgian Literature

Summary

Key words: Bolshevism, Georgian Literature, Literary Canon.

It has been a long time since people started to talk about anti-Stalinistic paradigm or thousands of artists (and not only them), who fall victim to the ideological machine; Fates of these people have changed forever, some of them even did not survive and they were executed by the system. In some cases, artists, who survived, had to obey a new canon of the ideologized art. We think that analysis of literary processes of 1910-1940s won't be complete until archival materials are studied thoroughly and the whole period is evaluated according to these materials.

In this case all archival materials should be found and analyzed that is unknown until now. Only after this, it will be possible to answer the questions (i.e. what was the reason that provoked Stalinist repressions?) and define, what kind of phenomenon is it. This year is the anniversary of these repressions – 90 years passed since Stalinist terror. For this reason it is necessary not only statistics, but the names of executed people – who

were exiled, arrested, or shot. Activities of artists (their works, attitude to the Revolution, participation in uprisings against Bolshevik or in punitive activities, etc) should be studied. Unfortunately, a considerable part of the archival documents were destroyed in 1991 during Tbilisi war and, naturally, these materials will be excluded from the analysis.

‘Bolshevism and Georgian Literature’ – a book prepared by the Shota Rustaveli Institute of Georgian Literature intends to fill exactly this gap. The edition will be extremely helpful to the researchers concerned with analysis of literary and cultural processes of 1910-1940s.

A Stalinist repression was one of the most ideologized and tabooed issues during the Soviet period. Study of this period is getting more and more important, because system-oriented analysis of Georgian literature from the new perspective (freed from Soviet clichés) has started not long time ago. In this respect, a thorough analysis of Georgian literature of this period will be impossible without taking into account of these materials.

The fundamental novelty of the book is that evaluation of the events that took place before the World War II are based on archival materials and it gives a book absolutely special value. In this book a scientific assessment of one of the most complicated and controversial period in the history of Georgian literature is represented in a political, social and cultural context and is based on less-known or unknown archival materials.

Everything started in the beginning of 1920s when Georgia lost its independence and process of Sovietisation was set in motion. Tbilisi was considered one of the centers of avant-garde, but artistic experiments of Georgian artists and writers were gradually banned. People, who laid the foundation for the avant-garde in Tiflis, turned out to be in exiles and concentration camps in 1930s. Most of them were killed. Some of them managed to escape through emigration and found shelters in foreign countries. Some of survivors preferred to put up a mask of cynic philosopher (as was in Galaktion Tabidze’s case); reality became a theatre or a tragic play for these writers. Works of some authors were cut and rearranged so that they took on a completely different meaning.

Collective of authors in this book skillfully managed to represent the context of the period, on the one hand, and to focus on each – and what is more important, less-known – writer, on the other hand. This book represents a very important stage of the research process, because it allows us to reconstruct the complete landscape of the epoch and study Georgian modernism in a broader context. It is possible that after the thorough analysis of the works of repressed authors (as well as of ones who escaped the Soviet terror) will be possible appropriate study of Georgian modernism and avant-garde. Literary map of Georgia could be complete only through this procedure. Some less known or marginalized writers could be put in the forefront in terms of the contribution to the development of Georgian literature. But this needs a comprehensive study and it is a following step of the research process.

At the same time, interesting results could be get through the censorship analysis – what kind of rhetoric caused a stir of censorship and how a text was substituted with another one; equally important results could be observed through the survey of the epoch

seen from the repressed writer's standpoint – both for taking a step back for perspective as well as research of Stalinist repressions in terms of 'Law of the Father' (Lacan) and study of Stalin's ideologeme and mythologeme.

It also will be useful to make a comparative study of state of repressed literatures in Georgia as well as other Soviet republics and former socialist countries. Comparative analysis of these literatures will facilitate to the better understanding of the tendencies – what do they have in common and what is the difference between them. Evaluation of literature and, broadly, culture of the period implies to having a clear idea of the differences and similarities between different cultures.